# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

87

დამატების № 71 | კვირა, 1 დეკემბერი 1902 წ. | გაზეთის № 2000.

*
* *

ჰეინედგან.

ღვთით მოეკარ ჩემსა ღოყასა,
რომ ჩვენი ცრემლნი ერთად შეერთდნენ,
ჩაეკარ შენი გულით ჩემს გულსა,
რომ ორნივ ერთის ცეცხლით აღენთნენ.

და როცა იმ ცეცხლს განშორების დროს
უხვად დაესხმის ჩვენი ცრემლები,
მაშინ ხელს მოვხვევ შენს ტანსა სართს
და იქვე ტკბილის ტანჯვით მოვკვდები!

*
* *

ჰეინედგან.

როცა ვუყურებ მე შენსა თვალებს,
სულს ჭმუნვა, სევდა ვეღარას აკლებს;
თუ კოცნითაცა დამაჯილდოვებ,
ქვეყნად უკეთესს სხვას რაღას ვჰოვებ...

როცა შენს მკერდზედ ვარ დაყრდნობილი
ნეტარებითა ვარ მე თრობილი...
მითხარ „მიყვარხარ“ და ჩემსა თვალებს
ვერა და ვეღარ შევწყვეტავ ცრემლებს...

ი. ბაქრაძე

# ქამელეონი

(ან. ჩეხოვიდან)

მიყრუებულს და მიჩუმებულ ბაზრის მოედანზედ ბოქაულის თანაშემწე ოჩუმელოვი მიდის. ახალი პალტო აცვია და ხელში რაღაც გამოკრული ბოღჩა უჭირავს. უკან ქერა გარადავოი მოსდევს, რომელიც ძლივს მოაბოტებს ტლანქ ფეხებს და ხელში ჭანჭურით სავსე ხახალი უჭირავს. ეს ჭანჭური კანონის ძალით ეს არის ეხლა წაართვეს ერთ მოვაჭრეს და, როგორც გაფუჭებული ხილი სადღაც მიაქვთ... ირგვლივ სიჩუმეა... მოედანზედ მათ გარდა არავინ ჭაჭანებს. სამიკიტნოების და დუქნების ყურამდინ გაღებული კარებები დაღვრემილად გამოჰყურებენ ქვეყანას და მშიერ ხახას მოაგონებენ ადამიანს; მათ მახლობლად მათხოვრებიც კი არსად სჩანან.

— იკბინები კიდეცა შე, წყეულო, შენა!—შემოესმა უცბად ოჩუმელოვს.—დაიჭი ბიჭო, არ გაუშვა! ჩვენ დროს ნაბრძანები არ გახლავთ კბენა!.. დაიჭიიი!..

ისმის ძაღლის წკმუტუნი. ოჩუმელოვი მობრუნდება და დაინახავს: პიჩუგინის შეშის საწყობიდგან, სამ ფეხზედ ხტუნვით, ცეცხლ მოკიდებულსავით გამოვარდება პატარა ძაღლი და გამწარებული ქუჩისკენ გაექცევა. შეშინებული ცხოველი უკან იყურება ცახცახით. მას თავგადაგლეჯილი ჩითის დახამებულ პერანგში გამოწყობილი ახალგაზდა კაცი მისდევს. ორივენი გაშმაგებულნი მირბიან, ბოლოს კაცი ხელს წაატანს დასაჭერად და პირქვე წაიქცევა; მიუხედავად ამისა ის მაინც მოასწრობს და ძაღლს უკანა ფეხებში წასწვდება. ისევ ძაღლის წკმუტუნი და „არ გაუშვათ“-ი გაისმის ჰაერში. ნამძინარევი მედუქნეები გამოცვივდნენ კარში და შეშის საწყობთან, თითქოს მიწიდამ ამოძვრნენო, უცბად ხალხის დიდი გროვა შესდგა.

— აჯანყებაა, მგონი, თქვენო კეთილშობილებავ!!.—ეუბნება გარადავოი. ოჩუმელოვი მობრუნდება და ხალხისკენ გასწევს. საწყობის ჭისკართან ზემოთ აღწერილი კაცი სდგას და გასისხლიანებულ თითს აჩვენებს შეჯგუფულ ხალხს. მის შეზარხოშებულ სახეს ყველასთვის ცხადად აწერია: „დამაცა, გაჩვენებ მე შენ სეირსა!“ გარდა ამისა მაღლა აშვერილი თითიც მუქარისა და გამარჯვების მომასწავებელია. გაჯავრებული და გაშმაგებული კაცი ოჩუმელოვმა იცნო, ოქრომჭედელი ხრიუკინია. ჯგუფის შუა ნაწილში თითონ აურ ზაურის ამტეხი ჩასკუპულა, გაუპარჭყავს წინა ფეხები და მთელის სხეულით ცახცახებს—მწევრის თეთრ ლეკვს თვალები ასცრემლებია და მთელი მისი ფიგურა შიშის ზარს და ნაღველს გამოჰხატავს.



მარმარილოს ქანდაკება ერნსტ გაულისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ამბავია?—აპობს ოჩუმელოვი ხალხის ჯგუფს და ჰლრიალებს.—რამ შეგყარათ? ეგ თითი რაღაა?.. ვინა ჰღრია-ლებდა აქა?

— მე ჩემთვის მოვდიოდი, თქვენო კეთილშობილებავ... —ჩაახველა ხრიუკინმა მუშტში და დაიწყო—შეშის შესახებ მინდოდა მომელაპარაკნა მიტრი მიტრიჩთან... უცბად საი-დღანაც გამოვარდა ეს ოხერი და პირდაპირ თითში მწვდა... მე მუშა კაცი გახლავართ ბატონო, ლუკმა პურს წვრილი მუ-შაობით და ჩემის მარჯვენით ვშოულობ. ეხლა კი შეიძლება მთელი კვირა თითი ველარ გავანძრიო... ეს არც კანონში სწე-რია, ბატონო, რომ ადამიანმა პირუტყვისაგან ამდენი მოითმი-ნოს... თუ ყველა კბენას დაიწყებს, ისევ ისა სჯობია კაცმა აღარც კი იცოცხლოს თავი... მე ვთხოულობ, რომ ძაღლის პატრონმა ზარალი მიზღოს.

— ჰმ!.. კარგი!.. წარმოსთქვა სასტიკად ოჩუმელოვმა, ჩაახველა და წარბები შეიკრა.—კარგი.. ვისი ძაღლია? მე ამას ასე არ დავტოვებ. მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ უნდა ძაღ-ლებს გალაღება! დროა ყურადღება მივაქციოთ იმ ვაჟბატო-ნებს, რომელნიც არ ექვემდებარებიან ჩვენ კანონებს და ბრძა-ნებებს. როცა დავაჯარიმებთ იმ წუწკებს, მაშინ გაიგებენ ძაღლი რა არის და როგორი შენახვა უნდა მას! დიაღ ვირის პანოში რომ ჩავსვამ, მაშინ მიხვდება რა დანაშაულიც მიუძღ-ვის!... ელდირინო,—მიუბრუნდა ოჩუმელოვი გარადავოის, —გაიგე, ვისია ეს ძაღლი და ოქმი შეადგინე! ძაღლი კი უნდა მოიკლას, დაუყოვნებლივ! ცოფიანი იქნება უეჭველად... ვი-სია მეთქი ეს ძაღლი, გეკითხებით?



უზრუნველი მწყემსი.—სურათი ფრაუნდისა.

— ეს ძაღლი, მგონი, გენერალ ჟიგალოვისა გახლავთ!— წამოიძახა ვიღამაც ხალხიდამ.

— გენერალი ჟიგალოვისაო? ჰმ!.. ელდირინო, მომხსენი პალტო... საშინლადა ცხელა! წვიმა მოვა უსათუოდ... მე ეს ვერ გამიგია, მხოლოდ, თითში როგორ უნდა ეკბინა ამ პაწაწკინტელა ძაღლსა?—მიუბრუნდა ოჩუმელოვი ხრიუკინს— თითში როგორ მოგწვდა მეთქი, გეკითხები? ეგ თითის ოდე-ნაა, დედამიწაზედ ძლივს მოსჩანს და შენ კი მაგოდენა ვირ-გლა ხარ! ლურსმით გაიფუჭებდი თითსა და ჯავრის ამოსაყრე-ლად შესთხზავდი ისტორიას, ვითომც ძაღლმა მიკბინაო. მე კარგად გიცნობთ რა ხალხიცა ბრძანდებით!...

— დაიჭირა და ციგარას სჩრიდა, ბატონო, ცხვირში, ეგეც სწვდა და უკბინა... მაგან სულ ეგრე იცის, ბატონო, პირ-უტყვსაც აწვალებს და ადამიანსაც...

— მიჰქარავ, შე ბრიყვო შენა! თუ არ გინახავს ნურც სტყუი. მათი კეთილშობილება ჭკვიანი ბრძანდება და თითო-ნაც კარგად მიხვდება ვინა სტყუის და მართალს ვინ ამბობს; თუ ვსტყუი—სამართალმა გაარჩიოს ჩემი საქმე. კანონებში სწერია... ეხლა ყველანი თანასწორნი არიანო.. მე თითონა მყავს ჟანდარმი ძმა... თქვენ კი ნუ გგონიათ, რომ... ესეც იცოდეთ თუ მაგაზედ მივარდა საქმე...

— ბევრს ნუ ლაპარაკობ!

— არა, ეგ გენერლისა არ არის...—წარმოსთქვა ჩაფი-ქრებულმა გარადავოიმ.—გენერალს მაგისთანა ძაღლები არა ჰყავს. იმას სულ მეძებრები დაურბიან...

— ნამდვილად იცი?

— დიაღ, თქვენო კეთილშობილებავ..

— მე კი არ ვიცოდი. გენერალს სულ ძვირი, კაი ჯი-შის ძაღლები ჰყავს და ეს კი ძაღლსაც არა ჰგავს, ისე ქეცია-ნია! არც ფერი უვარგა, არც ბეწვი.. საზიზღარია და მეტი არა-ფერი.. ამისთანა ძაღლი ქუჩა ქუჩა დაუდით? თქვენ ჭკუა გაქვთ განა? ამისთანა ძაღლი პეტერბურგსა და მოსკოვში რომ ნახონ ქუჩაში იცით რას იზამენ? იქ კანონებს კი არ გამოუდგებიან! ხრიუკინო, შენ დასჯილი ხარ და არც დასტოვო ეგ საქმე ეგრე... უსათუოდ იჩივლე... დროა ჭკუა ვასწავლოთ!...

— შეიძლება გენერლისაც იყვეს... განაგრძობს ისევ დაფიქრებული გოროდოვოი.—ცხვირზედ ხომ არ აწერია და... ამას წინად გენერლის ეზოში ვნა-ხე სწორედ მაგისთანა ძაღლი...

— გენერლისაა, მა ვისია?—წამოიძახა ვიღაცამ ჯგუფიდან.

— ჰმ!.. აბა, წამომასხი, ელდირინო, პალტო... ცოტა არ იყოს ქარმა დამბერა... შემაჟრჟოლა... წაიყვანე გენერლიანთსა და ჰკითხე, თქვენი ძაღლი ხომ არ არის თქო. ჩემ მაგიერ უთხარი—ვიპოვნე და გამოგიგზავნეთ თქო... უთხარი ქუჩაში ნუ გამოუ-შვებთ ხოლმე... ეგ იქნება ძვირფასი ძაღლიც არის და თუ ყველა ღორმა სიგარები სჩარა ცხვირში, ხეირი დაეყრება. ძაღლი—ფაქიზი პირუტყვ[illegible] კი, რეგვენო, ჩამოიღე ეგ თითი, რას აგიშვ[illegible] ლელსავით!

— აგერ გენერლის მზარეულიც მოდის... პრო-ხორ, გამოიარე აქეთ! აბა ერთი ე მაგ ძაღლს შე-ხედე... თქვენია?

— რას მიჰქარავ? მაგისთანა ძაღლი ჩვენ არა-სოდეს არა გვყოლია!

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა,—ამბობს ოჩუ-მელოვი.—მაწანწალაა, ვერა ჰხედავთ? ამას დიდი სჯა ბაასი აღარ უნდოდა, გითხარით მაწანწალაა მეთქი და მაწანწალა იქნებოდა, მა რა? მოჰკალით მეთქი, გეუბნებით.

— ჩვენი კი არ არის,—განაგრძობს პროხორი,— მაგრამ ჩვენი გენერლის ძმისაკია, ორი დღეა რაც ჩამოვიდა. ჩვენსას მეძებრები არ უყვარს. ეგ იმის ძმისაა...

— განა გენერალს ძმა ჩამოუიდა? მაშ ვლადიმერ ივანიჩი აქ არის?—ეკითხება ოჩუმელოვი და სახეზედ სასიამოვნო ღიმი უკრთის.—ღმერთო ჩემო, ჩამოსულა და მეკი არ ვიცოდი! სტუმრად ეწვია ძმასა, ჰა?

— დიაღ, ორი დღეა რაც ჩამოვიდა...

— დახე... ძმის სანახავად ჩამოსულა, ჰა?. მეკი არ ვი-ცოდი! მაშ იმათია ეს ძაღლი. ძალიან მოხარული ვარ, ძალიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაიყვა... რა კარგი რამ არის... ყოჩაღიცა ყოფილა... შიგ თითში ჩაჰფრენია! ხა, ხა, ხა... რა იყო, რაღა გაცახცახებს? ცუცა, ცუცა... რომ ბრაზობს კიდეცა! აი, შე ანჩხლო, შენა...

პროხორი შეშის საწყობს მოშორდება და ძაღლს თან გაიყოლებს... ხალხი ხრიუკინს დასცინის.

— დამაცა, მე შენ გაჩვენებ სეირსა!—ემუქრება ოჩუმელოვი, შეიკრავს პალტოს და თავის გზას გაუდგება.

ი. ბ-ი.

## „ხვალ ოცია, ხვალ მოგცემ, ხვალ!....“

(ესკიზი)

საღამოს ჟამი იყო. ბრწყინვალე მზის სხივები ძლიერ სუსტად სცემდნენ თადეოზის სამუშავო ოთახის ფანჯრებს. მკრთალი სინათლე საკმარისი არ იყო, რომ კაცს ოთახში ჯერ კიდევ სინათლეზედ შესძლებოდა მუშაობა. თადეოზი ამ საღამოს ჩვეულებრივზედ უფრო დაღვრემილის სახით გამოიყურებოდა. ის რაღაც საიდუმლო ფიქრებს შეესვათ თავიანთ ფრთებზედ და თვალ-უწვდენელ სივრცეში ანავარდებდნენ, რაღაც ძლიერ აღელვება-მოუსვენრობა ეტყობოდა... სულიერ ბრძოლის აღბეჭდილება სახის გამომეტყველებაც ნათლად აჩნდა... ეტყობოდა, რომ გულის სიღრმიდან ამონახეთქ მწუხარებას თავისებურად შეეკრა შეეჯაჭვა საბრალო არსება. მარჯვენა ხელი გახურებულ ბრტყელ შუბლზედ მიებჯინა და თავის თავს რაღაც ძლიერ გაჯავრებული ებრძოდა...

— დიახ, ხვალ ოცია!... მერე? რა, რომ ხვალ „ოცია“!? ნუ თუ ამით გასწორდება ობობის ქსელივით გაბმულ-გამობმული ჩემი ცხოვრების გზა და კვალი?! ნუ თუ ჩემი მშველელი, გაჭირვებისგან დამხსნელი მარტო ეს „ოცი“ რიცხვი უნდა იყოს?! ეჰ!... რამდენ_ამისთანა „ოცს რიცხვს“ გაურბენია ჩემი თვალების წინ და საუკუნო დავიწყების უფსკრულში ჩაყურყუმალავებული. რამდენჯერ გამითენებია გრძელი ცივი ზამთრის ღამეები იმ იმედით, რომ დღევანდელი რთული ცხოვრების დასაკმაყოფილებლად რაიმე კეთილ-შობილური წყარო, წყარო პატიოსან შრომით და ოფლით მოპოვებული აღმომეჩინა; მარტო ეს „ოცი“ რიცხვი არ მყოლოდა კერპად და სათაყვანებლად, მაგრამ არა, არა და არა!!!..

„ოცო“ რიცხვო, გამოჩნდებოდი ხოლმე და რაც შეგეძლო საშველ ხელს მაწვდიდი; იქ, სადაც პირადად არ მენდობოდნენ, შენ იყავი ერთგული თავდები, შენ იყავი ჩემი გაჭირვების ბასრი კბილებიდან დამხსნელი-მშველელი ანგელოზი... ცხრამეტ დღეს ჭაპანწყვეტაში, ტანჯვაში სულიერ ღელვაში ვატარებდი, ცხოვრების ათას გვარი მოთხოვნილება კბილების კრეჭით შემომჩერებოდა, ეშმაკის სახის გამომეტყველობით წინ მეღობებოდა და ლამის იყოს ჩაყლაპვას მექადოდა... დღე დღეულობით სასიხარულო წამები, ახალგაზდური ზეაღმფრენი მისწრაფებანი მწარის ნაღველით იშხამებოდა; კეთილ-შობილურ ლტოლვილებას, გონიერ აზრების განხორციელებას რაღაც უცნაური „შეუძლებლობა“, არარაობა, ეღობებოდა წინ... წამებულ მოძმის გრძნობიერი კვნესა გოდება გულის სიღრმემდის მწვდებოდა; საშველად ხელს ვაწვდენდი, მეგონა, მის დახმარებით დამიმშვიდდება მოძმის საშველად აღძრული გრძნობები; მისი დახმარებით, მეგონა, სიამოვნების სხივი ერთხელ-მაინც ჩააშუქებდა ჩემს მუდამ დახშულს გულ-მკერდში, მაგრამ არა... ისევ ის დამწველ დამდაგველი სიღარიბე, არარაობა ხელ-მოკლეობა აღმემართებოდა წინ და მიკარგავდა თვალის სინათლეს, გრძნობათა სიცხოველეს, ყოველ გვარ მისწრაფებათა სურვილს.... ეჰ! ფუი, ფუი ამისთანა სიცოცხლეს!. დაიწვას, დაიგმოს ამ გვარი ქვეყნად არსებობაც!... მეც კაცი მქვიან ქვეყანაზედ?! ვითომ და მეც ვურევივარ ცოცხლებში?! არა! ფუი, ფუი! ჩემს გაჩენას!! წამოიძახა თადეოზმა და ანთებული პირის სახით აჩქარებულად დაიწყო ოთახში სიარული... — დღეს ძლივს გადავრჩი ოჯახის აწიოკებას... ურიას პირდაპირ ოჯახში მოჰყავდა ბოქაული... ჯამ-ჭურჭელი, ქვეშაგებ-ზესახურავი, ოჯახის ავეჯი ქუჩაში უნდა გაეტანა, საჩქაროდ გაეყიდა... დიახ, უნდა ნახევარ ფასში წაეღო, ოჯახი გაეოხრებინა!... საბრალო წვრილი ცოლშვილი სიცივეში დაძიგძიგობენ, კბილებ შეკრულნი, ფერ მიმკრთალნი გულს მიკლავენ, სულს მიშფოთავენ... მათი შეხედვა მტერსაც კი სიბრალულის გრძნობებს აღუძრავს... დღემდის „ოცი“ რიცხვის შემხედს რაღაც იმედი მამხნევებდა, მითი ვცოცხლობდი, ის მანუგეშებდა... დღეს კი ისიც მესპობა. . თითქმის ნახევარი ჯამაგირი ამ თვეში იმისია... იმან დააკავა, ის წაიღებს...ის ხომ გრძნობა დახშულია, არ დამზოგავს, უსათუოდ



შუღლის ამტეხი ვაშლი.—სურათი იაკობიდესი.

ყოველთვის, სადაც კი პირადი ნდობა შეირყეოდა, საჭიროების დასაკმაყოფილებელ საშუალებად შენ, მხოლოდ შენ,

წაიღებს. მე? ავადმყოფ ცოლ-შვილს, მტერს, მოყვარეს?! ჰმ!-ღმერთო! რამდენად დღემდის ჩემთვის იმედი და სანეტარო

იყავი, შე განყენებულო „ოცო“ რიცხვო, იმდენად გულღვიძლის დამწველი, სევდა ვაების გამაორკეცებელი შეიქენი დღეს ჩემთვის?! ვის რა ვუთხრა ოცს ამ თვეს? ვის უნდა შევხედო პირში? ვისაც რამე გამოვართვი, ნისიად ვსჭამე, ვსვი, ჩავიცვი, დავიხურე; შევპირდი მიცემას, ყველგან თავდებად შენ მყავხარ, შენ, უკუღმართ ვარსკვლავზე დაბადებულო, დღე დამწვარო, „ოცო“ რიცხვო! მერე დღეს რაღას მიპირებ?! ვის უნდა ეყოს შენი მრავალ წამებული, ნაწილად სახმარი კალთის ნახევი?! რომელ ერთს დააკმაყოფილებს მცირეოდენი შენი წვლილი?! რა მდგომარეობაში ვიქნები საბრალი შენი ჭირისუფალი?! შავ სამგლოვიარო ძაძებში გახვეული უნდა ვიდგე თავს და შენი წივწივ-გლეჯის დროს მწარის ცრემლით ვქვითინებდე, დაგტიროდე თავზედ და შენს შველას-ხსნას ვლამობდე, მაგრამ ამაოდ, დიახ სრულებით ამაოდ!! რადგან შენამდის ახალი შენი ძმები მე აღარ მიმიშვებენ; ჩემს შემდეგ ისინიც კარგათ მოგივლიან, ცივ უგრძნობელ გულ-მკერდში მაგრად მიგიკრავენ; ჩემსავით ისინი არავის მისცემენ ნებას ავრე გაგწივ-გამოგწიონ, ჯვარს გაცვან-გაწამონ! სთქვა გაჯავრებით თადეოზმა და ფიქრებისაგან დაღლილ დაქანცული მიწვა... მაგრამ მის თვალებს ლული არ ეკიდებოდა.. თადეოზის ოჯახობა კი დიდი ხნით ტკბილ ძილს მისცემოდა... გარშემო ბუნების სიმშვიდემ, სამარისებრ სიწყნარემ თადეოზის გრძნობებიც დაამშვიდეს, დააწყნარეს... რამდენიმე ხანმა კიდევ გაიარა და თადეოზსაც მიეძინა, დიახ მიეძინა, მაგრამ ძილში ისევ მოუსვენრად შფოთავდა, ღელავდა, გულს აკლავდი კვნესოდა... გულის სიღრმიდან ამონავარდ გრძნობიერ ნაკვნესს მარტო ქვის გული მქონე ადამიანი გაუძლებდა... დრო გამოშვებით, ბოდვის მგზავსი ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები მოისმოდა: „ნეტავი აქ სადა ვარ?! ვინ მომიყვანა?! მე არ მინდოდა დღეს აქ მოსვლა?! შენ ვინა ხარ? მეპურე? ყასაბი? მაღაზიის ნოქარი? შენ ვინღ ხარ? ღმერთო ჩემო! ყველა ჩემთან ხართ? მერე რა გინდათ დღეს ხომ ოცი არ არის?! დღეს ვინ მომცემს ფულს? მაშ რა გინდათ? რად მოსულხართ? ხომ ხვალ არის ოცი, მაშ ხვალ მოგცემთ, ხვალ!.. წადი რაღა? რას შემომსევიხართ? რას მიცქერით?! რა ეგრე მწყრალად გამიჩერეთ თვალები? წადით, წადით, მეთქი?! ხვალ ოცია, ხვალ მოგცემთ ხვალ, ხვააალ!.... ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთის აღელვებულის ხმით შესძახა, რომ კიდევაც გამოეღვიძა... კედლის საათი დილის 5 საათს უჩვენებდა.. თადეოზი მეორე დღეს გაშტერებული იდგა კასსის წინ... ენა ჩაკმედილი ფერ მიმკრთალი, დადუმებული იცქირებოდა ერთ წერტილისაკენ.. რაც წუხელი სიზმრად ოცნებაში გულ-ღვიძლს უწვავდა—დღეს ყველაფერი თვალწინ ცხადათ გადაშლოდა... იდგა თავჩაქინდრული და დროგამოშვებით, გულსაკლავად ამოიოხრებდა ხოლმე....

თედ. ხუსკივაძე.

**რ უ ს ე თ ი ს ფ ო ს ტ ა**




„ნუ დაჰკარგავ ძველს გზასა“.....



საშინელ ლომებს შორის